საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

378

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 18 ᲛᲐᲠᲢᲘ 1941 წ. № 64 (6069) ᲤᲐᲡᲘ 10 კაპ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ᲐᲛᲮ. Მ. ᲞᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘ; Ა. ᲮᲝᲠᲐᲕᲐ, Ნ. ᲞᲐᲩᲜᲐᲫᲔ, Ნ. ᲨᲝᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ, Გ. ᲚᲝᲛᲝᲜᲘᲫᲔ, Ლ. ᲥᲘᲠᲘᲐᲚᲘ, Მ. ᲒᲝᲯᲝᲛᲝᲕᲘ, Შ. ᲑᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲫᲣᲠᲙᲘᲜᲘ, Გ. ᲥᲘᲚᲐᲫᲔ, Ი. ᲗᲝᲛᲘᲫᲔ, ᲓᲐ Შ. ᲙᲐᲙᲐᲒᲐᲫᲔ.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲐᲛᲬᲘᲡᲝᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Კ. (Ბ) ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲖᲘᲐᲡ

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან აჭარის ასსრ მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის დღეს.

ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ჩაუყარა ამხანაგმა **სტალინმა** საფუძველი ლენინურ-იესტური მიმართულების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, ბათუმში და დარაზმა ბათუმის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

წმინდად იცავდნენ რა სტალინურ ტრადიციებს, აჭარის მშრომელებმა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, სახელოვანი წითელი არმიის დაბადებით 1921 წლის მარტში გაამეცნეს საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები — ქართველი მენშევიკები და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

ბოლშევიკური პარტიის ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ცარიზმის ყოფილი კოლონიის — აჭარის გადაქცევა მოწინავე საბჭოთა სოციალისტურ ავტონომიურ რესპუბლიკად.

ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით და ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის — ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ყოველდღიური მზრუნველობით აჭარაში შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები, აშენებულია დიდი საწარმონი, თანამედროვე ტექნიკით შეჯურვილნი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ სახალხოკომისაბჭო

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ უზრუნველჰყო აჭარის ასსრ სოციალისტური სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდა. ამეკვამად აჭარა აყვავებული რესპუბლიკაა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებსაც ათასობით ჰექტარებზე მოჰყავთ ჩაი, ციტრუსები, ტუნგოს, თამბაქო და სხვა ძვირფასი კულტურები.

უდიდესი წარმატებანი მოიპოვეს აჭარის მშრომელებმა სახალხო განათლებისა და სოციალისტური კულტურის მშენებლობის დარგში. პარტიამ აჭარელებისაგან აღზარდა ქარხნებისა და კოლმეურნეობების სტახანოველთა, მასწავლებელთა, ინჟინერთა, ექიმთა, აგრონომთა მრავალრიცხოვანი კადრები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭო გამოსთქვამენ რწმენას, რომ აჭარის მშრომელები XVIII პარტიული კონფერენციის ისტორიულ გადწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განხორციელების საფუძველზე კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ კომუნიზმის გზაზე.

გაუმარჯოს საბჭოთა აჭარის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას!

გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილს — ამხანაგ **ლ. პ. ბერიას!**

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურსა ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვს!**

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს — დიდ **სტალინს!**



ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲐᲠᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐᲗ: ᲐᲛᲮ. Მ. ᲞᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘ; Ა. ᲮᲝᲠᲐᲕᲐ, Ნ. ᲞᲐᲩᲜᲐᲫᲔ, Ნ. ᲨᲝᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ, Გ. ᲚᲝᲛᲝᲜᲘᲫᲔ, Ლ. ᲥᲘᲠᲘᲐᲚᲘ, Მ. ᲒᲝᲯᲝᲛᲝᲕᲘ, Შ. ᲑᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲫᲣᲠᲙᲘᲜᲘ, Გ. ᲥᲘᲚᲐᲫᲔ, Ი. ᲗᲝᲛᲘᲫᲔ, ᲓᲐ Შ. ᲙᲐᲙᲐᲒᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲓᲦᲔᲡ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელი ხალხი დიდი სიხარულით ზეიმობს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავს.

აჭარის თავისუფლების მოყვარე ხალხი მთელ ქართველ ხალხთან ერთად მრავალი საუკუნის მანძილზე იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ, რუსეთის თვითმპყრობელობის მხეცური კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ რუსეთის რევოლუციის გარიჟრაჟზე, 40 წლის წინათ, აჭარის მშრომელები დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ირაზმებოდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. გამოქმეყუეტი ბრძოლისათვის. გმირულად იბრძოდა ცარიზმის წინააღმდეგ აჭარის მშრომელი ხალხი მთელი საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშებთან და გლეხებთან ერთად, მეფის რუსეთის ჩაგრულ ხალხებთან, დიდი რუსი ხალხის გმირულ პროლეტარიატთან ერთად. ბათუმის მშრომელთა არას დროს არ დაავიწყდებათ ის გმირული ღღეები, როცა აჭარის გულში — ბათუმში ცხოვრობდა და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა ამხანაგი სტალინი, რომლის ხელმძღვანელობით ბათუმის მუშებმა არაერთი და ორი ლაფარი ჩასცეს თვითმპყრობელებს.

ოცი აჭარის მშრომელნი დიადი გამარჯვებენით ხვდებიან რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სახელოვან 20 წლისთავს. ამ 20 წლის მანძილზე მზიური აჭარის მშრომელებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს მრეწველობის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის, კულტურის აყვავების საქმეში. ეს მიღწევები წარმოდგენენ ბრძნელი ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების კიდევ ერთ მკაფიო მაგალითს.

წმინდათ ჩამორჩენილი აჭარა 20 წლის მანძილზე სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მზრუნველობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით ერთერთ მოწინავე ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იქცა.

დღიდან განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას აჭარის მთელი მრეწველობა შესდგებოდა რამდენიმე ჩამორჩენილ საწარმოსაგან, რომლებშიაც 420 კაცი მუშაობდა. ამ საწარმოთა მიერ 1921 წელს გამოშვებულ იქნა მხოლოდ 1,74 მილიონი მანეთის პროდუქცია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში უადრესად გაიზარდა მრეწველობა. რეკონსტრუირებულ იქნა ძველი საწარმოები და აშენდა 22 ახალი მსხვილი საწარმო, მათ შორის ისეთი შესანიშნავი საწარმოებები, როგორიცაა სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხანა, ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, ციტრუსკომბინატი, ასფალტ-ბეტონის ქარხანა, ჩაის ფაბრიკები და მრავალი სხვა. საკმაოა აღინიშნოს, რომ 20 წლის მანძილზე მრეწველობის პროდუქცია 135-ჯერ გაზარდა, 1940 წელს გამოშვებულ იქნა 234 მილიონ მანეთზე მეტს პროდუქცია. სწრაფად ვითარდება ადგილობრივი მრეწველობა.

საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით აყვავდა აჭარის სოფლის მეურნეობა. წინათ ეკალ-ბარდებთან და ვეგმრით დფარული მინდორ-ველები გასწმინდა კოლმეურნე გლეხობის მადლიანმა მარჯვენამ და ზედ ძვირფასი ციტრუსოვანი და ტუნგოსოვანი ბაღები ამოიტანა. წინათ ჩამორჩენილი, დაქუცაცებული და გადატაკებული გლეხური მეურნეობების ნაცვლად ჩვიქნენ ენერგიულ ბედნიერ ცხოვრებას მსხვილი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები. აჭარის ნოყიერი მიწები მოფენილია ჩაის, თამბაქოსა და ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციებით, ტუნგოს, ბამბუკის, ეკალიპტის და სხვა ძვირფასი კულტურების ნარგავებით.

აშკარად აჭარაში 18 საბჭოთა მეურნეობაა და 212 კოლმეურნეობა, რომელთა შორის 7 მილიონერია. პატიოსანი საკოლმეურნეო შრომით აჭარის გლეხობა ჰპყრობს საკუთარ შეძლებულ და საამურ ცხოვრებას. ერთი მაგალითი: ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალმა 1940 წელს 1.700.000 მანეთს გადააჭარბა. ამ კოლმეურნეობის წევრმა სულეიმან რუსი-ოღლომ ოჯახის წევრებთან ერთად. გასულ წელს 2.000 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო შემოსავალი 28.000 მანეთი ფულად, 70 ფუთი სიმინდი და სხვა პროდუქტები. ამ კოლმეურნეობის 76 წევრმა უკანასკნელ ორ წელს აიშენა ორსართულიანი ოდა - სახლები, კოლმეურნეთა ოდებში ანთებს ელექტროშუქი, გაყვანილია წყალსადენი.

განათლება და კულტურა დამკვიდრდა აჭარაში. 1921 წელს აჭარაში მხოლოდ 37 სკოლა იყო. მაშინ წერა-კითხვა მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტმა იცოდა. ახლა საბჭოთა აჭარა მოფენილია სკოლების (გახსნილია 430 სკოლა), კლუბების, საბკოთხელეობისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით; ამჟამად აჭარის სკოლებში 38.146 ახალგაზრდა სწავლობს. ასევე დაფდალავად ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცებისათვის.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი მიღწევაა სახალხო მეურნეობის, კულტურისა, მეცნიერებისა და ხელოვნების საკუთარი ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების აღზრდა და დაწინაურება. თავდადებულ შრომასა და სწავლაში აღიზრდნენ ასობით წარჩინებული ადამიანები, რომელთაგან მრავალი ცნობილია აჭარისა და საქართველოს გარეთაც.

ამ შესანიშნავ წარმატებებს, მოპოვებულ საამურ და ბედნიერ ცხოვრებას აჭარის მშრომელები უმადლიან ხალხთა საყვარელ ბელადს, მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს, რომელმაც ჯერ კიდევ 40 წლის წინათ მიუთითა აჭარის მშრომელთ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მოპოვების გზებზე.

მაგრამ საბჭოთა აჭარის მშრომელები არ დაკმაყოფილდებიან მოპოვებულითა. აჭარის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, სკკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიადსაკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, კიდევ უფრო მეტი თავდადებით იბრძოლებენ ახალ სახელოვან გამარჯვებათა მიღწევისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სსრ კავშირის ხალხთან ძმურ კავშირში დიდი სტალინის წინამძღოლობით კომუნიზმის ახალ დიად გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი აჭარის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის დღეს!

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ (კკᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ **სკკ. კრრ.**). 17 მარტს აჭარის სახელმწიფო თეატრში შესდგა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სიიუნელეო მეოთხე სესია, მიძღვნილი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი სესია გახსნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ჯორჯიანიმ. სესიის პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან ამხანაგები: ვ. თვალჭრელიძე, ი. ფუტკარაძე, დ. დიკანიძე ა. კოპლაკაშვილი, ი. რეხიანე, ალეკსანდრა ტოკარიშე, ი. ოჯახუშვილი, ნ. ასათიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეფანტაშვილი, სკკ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ბ. ბარამია, საბჭოთა კავშირის გმირი ნანეიშვილი, ფ. ბაბოიანი, ბ. ყურაშვილი, ს. ბუაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები ა. ცაგე ალიევ მოძმე ავტონომიური რესპუბლიკებისა: აფხაზეთის, ჩრდილო-ოსეთის და ყირიმის დელეგაციების წარმომადგენლები მ. დელბა, დ. გულია, ზაფრიევი ბალოლიანი, ძაგოიევი, ბასიევი და სხვები.

საზეიმო სესიიან საპატიო პრეზიდიუმში მჯდარნი ტაშით ეიძინა ალა. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო **დიდი სტალინის** მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები **დიმიტროვი, ჩარკვიანი** და **ბაქრაძე.**

საბჭოთა აჭარის 20 წლისთვის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ი. ფუტკარაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სკკ. სსრ სახკომსაბჭოს და სკკ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებანი სესიის ბოლოს, ბ. ბარამიამ, ბ. ბაბოიანმა, ბ. ბუაძემ, ალ. ალიევმ, ბ. ყურაშვილმა, ბ. ბუაძემ, ბ. ბაბოიანმა, ბ. ბარამიამ, ბ. ბაბოიან

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის სსკავშირი პრემიების მიკუთვნების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

(დასასრული)

თ. კინემატოგრაფიის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. გრიგოლ ვასილის-ძე **ალექსანდროვს**, რეჟისორს, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს; ლიუბოვ პეტრეს-ასულ **ორლოვას**, რუსეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს და ისააკ ოსიპის-ძე **დუნაევსკის** — რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორს და იგორ ვლადიმერის-ძე **ილინსკის** — მსახიობს — კინოსურათებისათვის: „ცირკი", რომელიც გამოვიდა 1936 წელს, და „ოლუბა-ვოლგა", რომელიც გამოვიდა 1938 წელს.

2. სერგი დიმიტრის-ძე **ვასილიევს**, რეჟისორს, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის დამსახურებულ მოღვაწეს, გიორგი ნიკოლოზის-ძე **ვასილიევს**, რეჟისორს, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს და ბორის ანტრიასის-ძე **ბაბოჩკინს**, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტს — კინოსურათისათვის „ჩაპაევი", რომელიც გამოვიდა 1934 წელს.

3. ალექსანდრე პეტრეს-ძე **დოვჟენკოს**, რეჟისორს, უკრაინის სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ევგენი ვალერიანეს-ძე **სამოილოვს** და ივანე თევდორეს-ძე **სკურატოვს**, მსახიობებს — კინოსურათისათვის „შჩორსი", რომელიც გამოვიდა 1939 წელს.

4. გრიგორ მიხეილის-ძე **კოზინცევს**, რეჟისორს, ლეონიდე ზაქარიას-ძე **ტრაუბერგს**, რეჟისორს, და ბორის პეტრეს-ძე **ჩირკოვს**, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს — კინოსურათებისათვის „ძაქსმეფე ყრმობა", „ძაქსმეფე დაბრენება" და „ვებბრეის მხარე", რომლებიც გამოვიდა 1935-1939 წლებში.

5. მიხეილ ილიას-ძე **რომს**, რეჟისორს, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ალექსი იაკობის-ძე **კალეტს**, კინოდრამატურგს, ბორის ვასილის-ძე **შიუკინს**, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, და ნიკოლოზ პავლეს-ძე **ომლინს**, მსახიობს — კინოსურათებისათვის: „ძაქსმეფე ყრმობა", „ძაქსმეფე დაბრენება" და „ვებბრეის მხარე", რომელიც გამოვიდა 1935-1939 წლებში.

6. ვასილიერ მიხეილის-ძე **პეტროვს**, რეჟისორს, ალექსეი ივანოვის-ძე **ეშურინს**, სოლომონ იაკობის-ძე **კოგანს**, გიორგი ალექსანდრეს-ძე **სიმონოვს**, სერგეი ნიკოლოზის-ძე **ფომინს**, ფილიპე ივანეს-ძე **პეტუსას**, ქრონიკის ოპერატორებს და ალექსი ნიკოლოზის-ძე **სოკოლოვსკის**, ქრონიკის ოპერატორის ასისტენტს, — კინოსურათისათვის „პანერამის ხაზი", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

7. სერგი ალექსის-ძე **ვასილიევს**, რეჟისორს, ალექსეი ივანეს-ძე **ბეკ-ნაზაროვს**, რეჟისორს, სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, გრიგორი **ნერსესიანს**, სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, და ალექსანდრესა **ალექსანდროვას**, სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს — კინოსურათისათვის „ზანგეზური", რომელიც 1938 წელს გამოვიდა.

2. ვასილ ნიკოლოზის-ძე **ბელიაევს**, რეჟისორს, ვლადიმერ სიმონის-ძე **ეშურინს**, სოლომონ იაკობის-ძე **კოგანს**, გიორგი ალექსანდრეს-ძე **სიმონოვს**, სერგეი ნიკოლოზის-ძე **ფომინს**, ფილიპე ივანეს-ძე **პეტუსას**, ქრონიკის ოპერატორებს და ალექსი ნიკოლოზის-ძე **სოკოლოვსკის**, ქრონიკის ოპერატორის ასისტენტს, — კინოსურათისათვის „პანერამის ხაზი", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

3. სერგი პეტრეს-ძე **გერასიმოვს**, რეჟისორს, და თამარ თევდორეს-ასულ **მაკაროვას**, მსახიობს კინოსურათისათვის „მასწავლებელი", რომელიც 1939 წელს გამოვიდა.

4. ეფემიმე ლევის-ძე **ძიგანს**, რეჟისორს, დმიტრი იაკობის-ძე **პოკრასს**, კომპოზიტორს — კინოსუროთებისათვის: „ჩვენ ყრონშტადტიდან ვართ", რომელიც 1936 წელს გამოვიდა, და „თუ ხვალ ომი იქნა", რომელიც 1938 წელს გამოვიდა.

5 მარკოზ სიმონის-ძე **დონსკოოს**, რეჟისორს, და ბარბარე ოსიპისასულ **მასლენიკოვას**, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კინოსურათისათვის „გორკეა ბავშვობა", რომელიც 1938 წელს გამოვიდა და „ხალხში", რომელიც 1939 წელს გამოვიდა.

6. ალექსანდრე მიხეილის-ძე **ზგურიდი**, რეჟისორს, ძიხეილ გიორგის-ძე **პისკუნოვს** და გლებ ალექსანდრეს - ძე **ტროიანსკის**, ოპერატორებს, ელადიერ ნიკოლოზის-ძე **ლებედევს** და პეტრე ალექსანდრეს-ძე **მანტაიფოლს** კოხსულტანტებს — კინოსურათებისათვის: „ხვეის სიღრმეებში", რომელიც 1939 წელს გამოვიდა, და „სიცოცხლის ძალა", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

7. ევგენი ალექსანდრეს-ძე **ივანოვ-ბარკოვს**, რეჟისორს, ნინო ივანეს-ასულ **ალისოვას** — მსახიობს, და ალტი **კორლიევს**, მსახიობს — კინოსურათისათვის „დურსუნი", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

8. ალექსანდრე ბიქტორის - ძე **ივანოვსკის**, რეჟისორს, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ზოია ალექსის-ასულ **ფედოროვას**, მსახიობს, და ერასტ პაველს-ძე **გარინს**, მსახიობს — კინოსურათისათვის „მუსიკალური ისტორია", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

9. ილია პეტრეს-ძე **კოპალინს** და ოსიპ მიხეილის-ძე **პოსელსკის**, რეჟისორებს, ნიკოლოზ ვასილის-ძე **ბოგომოლოვს**, ალექსანდრე პეტრეს-ძე **კოვალჩუკს**, აბრამ გრიგოლის-ძე **კრიჩევსკის**, ვსევოლოდ ლევის-ძე **კოვალჩუკს**, ვიქტორ ალექსანდრეს-ძე **შტატლანდს**, არკადი მენდელის-ძე **შაფრანს**, მარკოს ბორისის-ძე **კოიფმანს**, აბრამ ნაუმის-ძე **კოზაკოვს** — ქრონიკის ოპერატორებს 1940 წელს გამოსული კინოსურათისათვის „დუნაიზე".

10. ლეონიდე დავითის-ძე **ლუკოვს**, რეჟისორს, და პაველ ფილიპეს-ძე **ნილინს**, კინოდრამატურგს — კინოსურათისათვის „დიდი ცხოვრება", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

11. იული იაკობის-ძე **რაიზმანს**, რეჟისორს, ივანე რომანის-ძე **პელტცერს**, რსფსრ დამსახურებულ არტისტს, და ნიკოლოზ ივანეს-ძე **დოროხოვს**, რსფსრ დამსახურებულ არტისტს — კინოსურათისათვის „უკანასკნელი დამე", რომელიც 1937 წელს გამოვიდა.

12. იოსიფ ეფემის-ძე **ხეიფეცს**, რეჟისორს, და ალექსანდრე გრიგოლის-ძე **ზარინს**, რეჟისორს, კინოსურათისათვის „ალტიკის დეპუტატი", რომელიც 1937 წელს გამოვიდა.

13. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **შენგელაიას**, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, და ნატალია გიორგის-ასულ **ვაჩნაძეს**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს — კინოსურათებისათვის: „ილორი", რომელიც 1936 წელს გამოვიდა, და „ნარინჯის ველი", რომელიც 1937 წელს გამოვიდა.

14. ფრიდრიხ მარკოზის-ძე **ერმლერს**, რეჟისორს, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ალექსანდრე ივანეს-ძე **ზარაფე

ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲥᲕᲔᲑᲘ

— აჭარა მდიდარია მინერალური მაგნეტიტებით, აჭარაში იპოვება: კობალტი, ანდეზიტი, პორფირიტი, სპილენძის კოლჩედანი, გოგირდის კოლჩედანი, ბარიტი, მოლიბდენიტი, გლენიტი, ტყვია, თუთია, კალციტი, მეზოლიტი, ფელდშპერი ტუფი. აჭარის მინერალური სიმდიდრე ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის. მაგნეტიტიდან სპრეწვილი ხასიათი აქვს სპილენძის სპარფიტს, სადაც ამეთვალი ზზანდება ზაბიამინი.

— აჭარა მდიდარია მცენარეულობით. ტყეებს 146.964 ჰექტარი უჭირავს, აღგილმდებარეობა ჯიზებიდან აჭარაში იპოვება: მუხა, ეკრეზეი, ზეკრი, ცირკელი, ხეალო, ტირიფი, ჯიროკოლი, ალვისხე, ალუმა, ლეკი, კოზმარეი, წყავი, ცაცხვი, თელა, დიდფოთა, მოცვი, სოკი, ტრაბაზა, ზეინდი, ირეი, ბიეკეი, ურთხელა, ალაკეა, ბზა, კოპიტი, ჩინარი, ობმეკა, წაბლი, ნაძვი, კაკლის ხე და სხვ.

— აჭარაში ხარობს ეგზოტური ჯიშის ბრეკალი მცენარე: სეკვოია, იაპონური, ტსუპარი და კალიფორნიის სოკი, ევროკუტალიპური, აკაციოსანი და ლენტორანის ალაკეა, კეკიპოოსი, სტერკულია, ოეფალტი, ეკალბატი, ცეფეოლა, კედარი, კატლპა, ტეკა (ტეკა), მაგნოლია, ფუკეეოელა, მრავალი ჯიშის ნაძვი, ფიჭეი და დაფნა.

— ბამბუკი აჭარაში პირველად შემოიტანეს 1895 წელს. პირველ ხანებში იგი დეკორატიულ მცენარეს წარმოადგენდა. ახლა აჭარაში ბამბუკი 477 ჰექტარზეა გაშენებული. მას დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. ბამბუკის სამალელი სარეფოდ 38 მეტრს აღწევს, აჭარაში—21 მეტრს. ის ზრდას ამთავრებს 45-50 დღის განმავლობაში.

— აჭარაში მოსახლეობის შემეტებელ და კულტურულ ცხოვრებას ადასტურებს საკინელბრუნვის დიდი ზარა. 1940 წელს საკინელბრუნვა უფროდა 304.700.000 მანეთს.

— ბათუმის ტაკეის ფაბრიკა წელიწადში ამზადებს 18 მილიონ დეკიმეტრ სპირტ ტაკეს, ხოლო ფეხსაცმლის ფაბრიკა უშვებს ნახევარ მილიონ წყვილ ფეხსაცმელს.

საბჭოთა აჭარის მოწინავე ადამიანები: ზეკითა რიგში— ხემზე ზიმაშოღლი, ნივრისტან შაშიკაშვილი; შუაში — ხატიჯე კაკაბაძე, ეფრა რუკაა; ქვედა რიგში: მემედ ფალავა, ზ. ფირიაშვილი და ალშე ბეგრეგინე

ფოტო ა. საბახტარაშვილისა

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

აჭარის დედაქალაქი ბათუმი საქართველოს ერთერთი ულამაზეს ქალაქთაგანია. ასეთია პირველი შთაბეჭდილება, როცა გემი ნავსადგურს მიუახლოვდება და მგზავრის თვალწინ გადაიშლება თვალწარმტაცი ხედი.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს სისუფთავე. ქალაქის ქუჩები მუდამ სუფთაა. თვალური ქუჩები და მოედნები ასფალტირებულია. სკვერები და ბალები ზღვის სუფთა ქვიშითაა მოფენილი. პალმები, ციტრუსები, დაფნა, ქაფურის ხე, ბანანი, ალუა და სხვა მრავალი სახის მუდამ მწვანე მცენარე გხვდება ყოველ ნაბიჯზე.

ჯერ კიდევ ძველ დროს ბათუმი ამიერ-კავკასიის ერთერთ თვალსაჩინო სამრეწველო ცენტრად ითვლებოდა. ნავთის გაზიდვა უმთავრესად ბათუმის ნავსადგურიდან ხდებოდა. ამიტომ ნავთის მრეწველობა ბათუმში გახსნეს ბიფოხებისა და ყუთების მრავალი სახელოსნო. 1898 წელს ბათუმში 10-ზე მეტი საწარმო იყო. მუშათა საერთო რაოდენობა 11 ათას აღწევდა.

მაგრამ 1901 წლამდე, სანამ ბათუმში ამხანაგი **სტალინი** ჩავიდოდა, მუშებს არ ყავდათ ნამდვილი პოლიტიკური ხელმძღვანელი. 1901 წლის ნოემბერში ბათუმს ჩავიდა სამეშაოდ ახალგაზრდა **სტალინი**, ქალაქმა თითქოს სახე იცვალა. მუშებმა თავი მაღლა აწიეს, თავისი ადამიანური ღირსება იგრძნეს. ათვალიერებ ბათუმის ისტორიულ ადგილებს, სადაც დიდი **სტალინი** მოღვაწეობდა, ხედავ სახლებს, სადაც დიდი ბელადი მშრომელებს რაზმავდა ბრძოლებისთვის და თვალწინ გიდგება ჩვენი პარტიის ისტორიის შესანიშნავი ფურცლები.

პუშკინის ქ. № 13, სიმხოვიჩის ყოფილი სახლი. 1901 წლის ნოემბრის დამლევიდან ამ სახლის პატარა ოთახში ცხოვრობდა სტალინი. სიმხოვიჩის სახლიდან სტალინი ლომჯარიების ბინაზე გადავიდა. 1901 წლის 31 დეკემბერს აქ, ახალი წლის შეხვედრის სახით მოეწყო ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა კრება, რომელზეც ჩამოყალიბდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ამ სახლში ოფიციალურ-მეტყველი ბელადმა: „დადგება დრო, როცა კაპიტალიზმი დამბობილი იქნება და ხელისუფლებს სათავეში ჩაუდგება მუშათა კლასი“. სტალინის ხელმძღვანელობით ბათუმის მუშებმა სასტიკი ბრძოლა გაუმართეს კაპიტალიზმს და თვითმპყრობელობას. გახშირდა გაფიცვები, მიეწყო სახელგანთქმული დემონსტრაცია. ამ ბრძოლაში ბელადი ფართოდ იყენებდა ბეჭდვითს სიტყვას. ჯერ ილ. დარახველიძის და შემდეგ ხაშმის ბინაზე მოეწყო არალეგალური სტამბა.

„.... ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, — სწერს ამხ. ლ. ბერია წერნაში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, — მოაწყო ამხანაგმა სტალინმა და მან პირველმა ათმოძრავა ბათუმის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლებისათვის“.

დღეს ბათუმი იმკის ამ გმირული ბრძოლების ნაყოფს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ქალაქის ნამდვილი აყვავება. თუ 1926 წელს ბათუმში 48.474 მცხოვრები ითვლებოდა, ახლა მოსახლეობის რაოდენობა 74.165-ს აღწევს. ბათუმმა მიიღო კანალიზაცია, გაფართოდა წყალსადენი, აშენდა ახალი სახლები, სწარმოება.

ბათუმი გამოიჩრეკა თავისი კეთილმოწყობით. ოდესღაც განაპირა უბნები, სამართლიანად წოდებული ჭაობად, სადაც მუშები ცხოვრობდნენ, მალარიის ბუდედ იყო გადაქცეული. ღღეს ჭაობი ამოშრობილია და სახელგანთქმული სანალარო სადგურის თანამშრომლებს ანოფელესი სანახავად ენატრებათ.

ჭუჭყიანი სანაპირო ქუჩა, რომელიც ძველმანების საყოველ კუთხეს წარმოადგენდა, ღღეს ასფალტით კაშკაშებს, ხოლო საკაბატეო სანაპიროს მეზობლად ხელოვნების სალაყბოს მაგიერ ხელოსანელთა ლაბანი პარკი გაშლილა. იქვეა ზღვაში შეპრილი სეეტებზე აგებული რესტორანი, სადაც ზაფხულში ექსკურსანტები სურნელოვან შავ ყავას შეექცევიან და დელფინების მალაყებს თვალს ადევნებენ.

შმიდტის სანაპირო ქუჩა პირდაპირ გადის რევოლუციის მოედანზე და უერთდება კომინტერნის პროსპექტს. იქ, სადაც წინათ ძველი წესწყობილების სიმბოლო — უზარმაზარი საკრებელო საყდარი იყო ამართული, ახლა ამშვიათი სილამაზის სასტუმრო „ინტურისტი“, საიდანაც თვალწარმტაცი ხედი იშლება ბათუმის ლამაზ ბულვარზე და თვალუწვდენ ზღვაზე.

ოცეიოდე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ლამაზი ქალაქი, აჭარის გული, დახურული იყო აჭარელთათვის. ანეგდოტსა ჰგავს, მაგრამ ფაქტია: რევოლუციამდე მთავარ ქუჩებში აჭარელ გლეხს გავლა აკრძალული ჰქონდა. ღღეს ამაყად დადიან ბენდერი აჭარლები თავიანი დედაქალაქის ქუჩებზე და მადლობას უთვლიან დიდ ბელადს, რომელმაც ეს ბენდერი ცხოვრება მოგვიპოვა.

გრ. ბათუმელი

ამხ. ბ. თვალჭრელიძე
საქ. კ. პ. (ბ) აჭარის სალაქო კომიტეტის მდივანი.



ამხ. ი. ფუტკარაძე
აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე



ამხ. დ. დავითაძე
აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲐᲡ

ᲐᲭᲐᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ.
ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲠᲘᲪᲮᲘᲐ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲓᲦᲔᲑᲘ,
ᲪᲘᲠᲙᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲑᲘᲠᲯᲘᲗᲘ ᲒᲓᲔᲜᲘᲐ,
ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲛᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲚᲘᲐᲜᲘ
ᲛᲘᲛᲐᲒᲠᲔᲑᲓᲐᲜ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲠᲬᲚᲔᲑᲘ...
ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲐᲠ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, ᲓᲘᲓᲘ ᲔᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓ,
ᲛᲝᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲛᲘᲠᲔ ᲐᲡᲔ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲠᲘᲡ.
ᲪᲘᲠᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲠᲘᲐᲜ ᲛᲔᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐᲓ ᲣᲚᲘᲐᲜ,
ᲓᲦᲔᲑᲘ ᲡᲘᲑᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲣᲤᲝᲠᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘᲐᲜ...
ᲐᲯᲐᲠᲐᲖᲦᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲬᲕᲔᲚᲘ
ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲚᲘ...
ᲓᲦᲔᲑᲘ ᲡᲘᲑᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲣᲤᲝᲠᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘᲐᲜ...
ᲐᲯᲐᲠᲐᲖᲦᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲬᲕᲔᲚᲘ
ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲚᲘ...
ᲗᲣ ᲛᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲚᲘ
ᲓᲦᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲐᲚᲘ ᲓᲦᲔᲑᲘ
ᲜᲘᲗᲔᲚᲘ

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 16 მარტი (საკუთარი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს და შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტროს 15 მარტს, საღამოს, გამოაცხადეს, რომ 15 მარტს, დღისით, მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა.

ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია: „15 მარტს, ღამით, მტრის ავიაციის მოქმედება ინგლისში უფრო ნაკლები მასშტაბით სწარმოებდა, ვიდრე დღეშდე. მტერი თავს დაესხა ლონდონს. ეს თავდასხმა ნაშუალამეულ დამთავრდა. სხვადასხვა რაიონებში დაზიანებულია სახლები. მრავალ ადგილას გაჩენილი ხანძარი დილას ჩაქრობილ იქნა. ყუმბარები ჩამოჰყარეს ზოგიერთ სხვა რაიონში, უმთავრესად სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისსა და ცენტრალურ საგრაფოებში. ყველა ამ რაიონში მხსვეობლი დიდი არ არის.

ბერლინი, 16 მარტი (საკუთარი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის გუშინდელი ცნობის დამატებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ 14 მარტს, ღამით, გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ინგლისის 7 აეროდრომს და 20 სანავსადგურო ქალაქს. ყველაზე გაადორებული იერიში მიტანილი იქნა ლეგზდსა და შეფილდზე. ბომბარდირებულ იქნა სამრეწველო ნაგებობანი და სურსათის ბაზები. მეტად სერიოზულად დაზიანდა ლეგზოს სამხედრო საწარმოები და დოკები. ქალაქს მოეკლა დიდი ხანძარი. შეფილდში მსხვილი და ზემსხვილი ყალბის ყუმბარები მოხვდა სამხედრო და ფოლადსამსხმელო ქარხნებს.

აეროდრომზე თავდასხმის დროს დანგრეულ იქნა ანგარები და თავშესაფრები, ცეცხლი გაეჩინა ოთხ ანგარს.

ამ ღამეს გერმანიის მხრივ ბომბარდირების მიზანი იყო 20 სანავსადგურო ქალაქი, მათ შორის ლონდონი. ამ ნავსადგურებზე, განსაკუთრებით პლიმუტზე, საუთჰემპტონზე და ლონდონის ტლბერიის დოკებზე მიტანილი იერიშები წარმატებით ჩატარდა. ამ პუნქტებში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა.

ამავე დროს ბომბარდირებულ იქნა ახალი საავიაციო ქარხანა, სადაც დიდი ყალიბის ყუმბარებმა დაანგრიეს ამ ცოტა ხნის წინათ აგებული სამრეტაკო საამქრო.

15 მარტს ღამის თავდასხმა ინგლისზე, გერმანიის საინფორმაციო ბიუროს სიტყვით, ყველაზე დიდი და ყველაზე ქმედი იყო ყველა იმ ოპერაციიდან, როგორიც კი გერმანიის საჰაერო ფლოტს დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ჩაუტარებია.

ჰიტლერის გამოსვლა

ბერლინი, 16 მარტი (საკუთარი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს ბერლინის არსენალში შემდგარ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას, სიტყვა წარმოსთქვა ჰიტლერმა.

ჰიტლერმა აღნიშნა წინანდელ მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნა. ახლანდელი ომი, — სთქვა მან, — გერმანიის თავს მოახვია ინგლისმა და საფრანგეთმა. გასული წლის საომარი მოქმედების და გერმანიის ჯარის მიერ მიღწეულ წარმატებათა მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ჰიტლერმა სთქვა: გერმანიის რიმ 1918 წელს შესძლებდა ამ წარმატებათა თუნდაც ნაწილის მიღწევა, იგი მსოფლიო ომს მოიგებდა. ამჟამად გერმანიის არმია, რომელიც თავისი შემადგენლობითა და შეიარაღებით გაცილებით უფრო ძლიერია, მზად არის ბოლადაჯერებით დაამთავროს გასული წელს დაწყებული საქმე. ალნიშნა რა, რომ გერმანიამ ამ ომში წინანდელზე უფრო მძიმე მსხვერპლი უნდა გაიღოსო, ჰიტლერმა გამოსთქვა რწმენა, რომ გერმანია გაიმარჯვებს.

ამ ზამთარში დიდი მუშაობა მიტარდა გერმანიის შეიარაღებული ძალების განსამტკიცებლად. თუ ზამთრის თვეებში, — განაცხადა ჰიტლერმა, — ინგლისის შეტევის მთელი ძალა უმთავრესად გერმანიის მოკავშირეს ატყდებოდა თავს, ამიერიდან გერმანიის შეიარაღებული ძალები კვლავ მიღებენ მონაწილეობას ამ ბრძოლაში. ეერავითარი დახმარება ვერ შესცვლის ამ ბრძოლის შედეგს. გერმანიას, — სთქვა ჰიტლერმა, — მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაამთავროს ეს ბრძოლა ერთ-ერთ ადრეულ დროს.

რუზველტის გამოსვლა

ვაშინგტონი, 16 მარტი (საკუთარი). გუშინ საღამოს, რომელიც გამართა „თეთრი სახლის კორესპონდენტთა ასოციაციამ“ (კორესპონდენტები, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან პრეს-კონფერენციას თეთრ სახლში), გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი.

რუზველტმა განაცხადა, რომ კონგრესის მიერ იარაღის იჯარით ან სესხად გადაცემის კანონპროექტის მიღება ბოლოს უღებს ყოველგვარ ცდას—იძულებული გახდეს ამერიკის შეერთებული შტატები შეერთდნენ ღერძის სახელწოდებას. მთელს ქვეყნიერებაზე უკვე არაფის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს ჩვენს გადაწყვეტილებაში.

იარაღის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონპროექტი კონგრესს ოთხ ოთახ პალატამ მიიწოდა 11 მარტს, ნაშუადღევს. მე ამ კანონპროექტს ხელი მოვაწერე ნახევარი საათის შემდეგ. ხუთი წუთის შემდეგ კი მოვიწონე იმ საქონლის სია, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს. ბევრი ამ საქონლიდან უკვე გზაშია. 12 მარტს მე ვურჩიე კონგრესს გაეღო ახალი ასესხების შესაძენად 7 მილიარდი დოლარი, და კონგრესი ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს სწრაფად გამოვიყენოთ ეს ასიგნობანი. მთელი ჩვენი აზრები ტემპების საკითხის გარშემო ტრიალებენ. იმედი მაქვს, რომ სიტყვა ტემპი ჩვენი პაროლი გახდება.

გამოსთქვა რა რწმენა დემოკრატიის გამარჯვებისა, რუზველტმა განაცხადა, რომ ინგლისელები და მათი მოკავშირეები — ბერძნები —ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიიღებენ გემებს, თვითმფრინავებს, სურსათს, ტანკებს, ქვემეხებს, საომარ და სხვა მასალებს.

რუზველტმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან გაწაგრძონ ჩინეთისათვის დახმარების გაწევა.

საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო აღგენეთში ივნვლის შეჯეკის შესახებ

ათენი, 16 მარტი (საკუთარი). საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო, იმიოწმებს რა საბერძნეთის ავტოკრატეტულ წრეებს, შემდეგს ცნობებს გადმოგვცემს იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც ხდება ალბანეთის ფრონტის ცენტრალურ სექტორში: „9 მარტს, დილაადრიან, მოწინააღმდეგემ დაიწყო დიდი შემოტევა, რომელიც დღემდე გრძელდება. შემოტევის ფრონტი გაკვიმეულია 30 კილომეტრზე, მდინარე ვიიოსიდან ტომორიცის მთეს. ბრძოლის ადგილზე ფერდობამდე. განსაკუთრებით ძლიერი შემოტევა იყო 4-კილომეტრიან უბანზე, რომელიც მდებარეობს ტრებენინის მთის ჩრდილოეთ ნაწილსა და სოფელ ბუბესს შორის. იერიშში მოტანილ იქნა დიდძალი მსუბუქი და მძიმე არტილერიის და მრავალი თვითმფრინავის დახმარებით.

მოწინააღმდეგის შეუპოვრობის და შემოტევაში ჩაბმული დიდძალი საშუალებებისა და ძალების მიუხედავად, შემოტეკა მთლიანად ჩაიშალა. მოწინააღმდეგემ ვერაფერთი მეტი ტერიტორიის დაკავება ვერ შესძლო. საბერძნეთის ჯარმა, რომელსაც გამუდმებით მიჰქონდა კონტრიერშეები, ხელთ იგდო 3 ათასზე მეტი ტყვე; მათ შორის ბევრი ოფიცერი“.

„უკანასკნელი რაინდი“

რუსთაველის სახელობის თეატრში

საბჭოთა საქართველოს ოცი წლის იუბილეს რუსთაველის თეატრმა მიუძღვნა ახალი დადგმა — ს. ალდანოვის „უკანასკნელი რაინდი“. ეს არის პოლიტიკური სატირა, სადაც ასახულია ესპრეზები მეშვეიკური საქართველოს ცხოვრებისა და ბრძოლა გამოყვანილია მთელი გალერია ტიპებისა, რომლებიც „შენებდნენ „დემოკრატიულ სამოთხეს“. პიესაში კარგად არის დახატული, თუ როგორი იყო ეს ცხოვრება, ან რა ჯურის „შენებდენ“ იყვნენ მენშევიკური პარტიის უმაღლესი პოლიტიკანები.

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა, დიდ-დამოდ მოიცილა სამარცხვინო უღელი, რომელიც მას დაადგეს მსოფლიო კაპიტალიზმის ერთგულმა ლაქიებმა, კონტრრევოლუციური მენშევიზმის ავანტიურისტებმა. ოცი წელი სოციალისტური „მშენებლობისა, თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრებისა, უდიდესი ეკონომიური და კულტურული აღმავლობისა — აი ის სახელოვანი განვითარების გზა, რომელიც ქართველმა მშრომელმა ხალხმა განგლო მას შემდეგ, რაც საბჭოების წოთელი დროშა აფრიალდა მის მიწაწყალზე.

სერგო კლდიაშვილის კომედია „უკანასკნელი რაინდი“ მეტად მძაფრ სატირას წარმოადგენს მენშევიკური ბატონობის ხანაზე. კომედია მტკიცე ფაბულაზეა აგებული. ის მდიდარია კომიკური მდგომარეობებით, პიესაში კარგად მოსჩანს ეპოქის დამახასიათებელი ყოფა, ადამიანები, ის ისტორიულად განწირული სული, რომელიც შავი აჩრდილივით დასტრიალებდა თავს მენშევიკური საქართველოს ბოლოდროინდელ ყოფიერებას.

ავტორს, უარყოფილი ტიპებთან ერთად გამოყვანილი ჰყავს დადებითი გმირებიც, რომლებიც ატარებენ პროგრესიულ მსოფლმხედველობას და გამოხატავენ ქართველი ხალხის სულისკვეთებას და დამოკიდებულებას მენშევიკური უზურპატორების მიმართ; ავტორმა გვიჩვენა მშრომელთა წარმომადგენელი, ოპოზიციურად განწყობილნი მაშინდელ ბოლოდროინდელ ემისრებს — კაუკასს, ვანდერფელდს და სხვებს, „მფარველ ანგელოზებად“ რომ მოეკლინენ თავის ქართველ თანამოაზრეებს და ლოცვა-კურთხევა უწყალობეს „დემოკრატიულ ბაღნარს“.

ჩვენს ამოცანას შეადგენდა არ გადაგვეცა კომედიის ფარგლები და თავი დაგვეწია გროტესკის ცდუნებებისაგან. როგორც დადგმაში, ისე მხატვრულ გაფორმებაში და მსახიობთა თამაშში თეატრი მკაცრად იცავს ერთიან სტილს.

„უკანასკნელი რაინდი“ ეკუთვნის პოლიტიკური სატირის იმ დადგმათა რიცხვს, რომლის ნიმუშებიც არაერთხელ მოუცია რუსთაველის თეატრს თავისი შემოქმედებითი მუშაობის წარსულ ეტაპებზე.

აღინიშნავს რა ახალი სპექტაკლით მშობლიური ქვეყნის საიუბილეო თარიღის, რუსთაველის თეატრი კიდევ უფრო მეტის შემოქმედებითი ენერგიით და აღფრთოვანებით გაბაგრძობს მუშობას. შემდგომი წარმატებების მისაღწევად, მშობლიური თეატრისაო ეროვნული კულტურის გასაძლიერებლად.

აკ. ბასაძე

სსრკ სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის სახელმწიფო ნაწ. გამგე და დირიჟორი.

აჭარის საბჭოთა მწერლები

აჭარის საბჭოთა მწერლებმა მოკლე ხნის განმავლობაში შესძლეს თავიანი წვლილის შეტანა სოციალისტური შენებლობის საქმეში.

აჭარელი პოეტები უმღერიან აყვავებულ საშობაოს, ბედნიერი ხალხის საამურ ცხოვრებას, ჩვენი ქვეყნის მამაც გმირებს, სტახანოველებსა და თავდადებულ მებრძოლთ, წოთელ არმიასა და მის სარდლებს, უმღერიან მშრომელთა საყვარელ მამასა და ზედნიერი ცხოვრების შემქმნელს — დიდ **სტალინს.**

პოეტმა ნესტორ მალაზონიამ ლექსები დასწერა დიდ სტალინზე, განახლებულ აჭარაზე, ბათუმზე, შრომასა და ბრძოლებს გმირებზე. მისი წიგნები — „პატაკი ოქტომბერს“, „ყვავილები“, „თავგი“ და პოემა „გულრაბრ“ მეტად პოპულარულია. პოემა „გულრაბრში“ ასახულია აჭარელი მშრომელი გლეხობის ბრძოლა ბეგებისა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ. მასში აღწერილია აგრეთვე ბათუმის მუშების რევოლუციური ბრძოლა, რომელიც ახალგაზრდა სტალინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულა მწერალმა ჯემალ ნოღაიდელმა. მან შეკრიბა და დაადგინა აჭარელი ხალხური შემოქმედება, რომელიც სამ წიგნად გამოიცა. მანვე დასწერა პიესა ისტორიულ თემაზე — „თეთრი სახლები“, რომელიც დასადგმელად მიიღო აჭარის სახელმწიფო თეატრმა.

გამოიცა პოეტ პარნენ რურუას სამაგშო ლექსების რამდენიმე კრებული და პოემები. მისი სამაგშო წიგნები „ბუნება და ბავშვები“, „კუდაბზიკები“, „ნაცარქექია“ და სხვ. საყვარელი წიგნებია ჩვენი მოზარდი თაობისათვის.

კარგად დამუშავებული ლექსი მოგვცა ავრეთვე ალალაზრა პოეტმა მამედ ვარშანიძემ. მის ლექსებში იგრძნობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ შენებელთა სიყვარული და სიხარული. ვარშანიძე უმღერის აჭარის აზურშუტბეტიულ მთა-ბარს, განთავისუფლებული ხალხის წინსულსა და ბედ-მარჯვებას.

ნაყოფიერად მუშაობს პოეტი ზაალა იოსელიანი. მან სამი წიგნი დასწერა. მისი ლექსები ვორობილოგზე, ბათუმზე, ახალგაზრდობაზე, ვეიერებე და სხვ. ხალხურ სასიმღერო ლექსებად გადაიქცა.

ნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდა პოეტები: შ. შუბლაძე, კ. ოსიძე, შ. ხუციძე, ვ. აფხაზავა, გ. სალუქვაძე და სხვ.

საკმაოდ დაწინაურდა ახალგაზრდა აჭარელი ქალი ნადიდე ვაკარშვილი, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში რამდენიმე ლექსი დასწერა. პროზიდან აღსანიშნავია ბ. ბასიღაშვილის რომანი „სამი მებრძოლი“, ა. ჩამელეიშვილის „შრომა“, „ილია ჭავჭავაძე“ და სხვ.

აჭარის საბჭოთა მწერლები ზრდისა და განვითარების პროცესში არიან. ისინი თვალსაჩინოდ მიღწეულნი შეხდნენ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს.

პარმენ ლოკრია

აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პ.მგ. მდივანი.

(საკუთარი).

ევროპის უნივერსიტეტის დელეგაციამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გუშინ თბილისის ტლნინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა და პროფესორ-ლექტორებმა გულთბილი მიღებიდრო მოუწყეს ევროპის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაციას.

სტუმრების შეხვედრისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება მოკლე მესაუბრეთ სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა ამბ. დ. ყიფშიძემ.

—დღეს ჩვენთან იმყოფებიან ძვირფასი სტუმრები — გაბაკი, და ამბ. დ. ყიფშიძემ, — ჩვენს უნივერსიტეტსა და ევროპის ახალ გაზრდა საბჭოთა უნივერსიტეტს შორის სოციალისტური შეჯიბრების ბეგლა მიმართულება ეჭიდა, რომ ფართოდ მოვაწყოთ გამოცდილების გაზიარება. ჩვენი შეჯიბრება გამოხატავს მოძმე რესპუბლიკების ხალხოა ურჯვეკ სტალინურ მეგობრობას. ამბ. ყიფშიძის ილაპარაკა აგრეთვე იმ გულთბილი შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს მშრომელთა დელეგაციას მოუწყვეს ევროპაში.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ევროპის ეროვნული სოციალისტური სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი ა. ა. ბრაგინეცი. მან წაიკითხა ლეკოის და თბილისის უნივერსიტეტების სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების ტექსტი.

საზეიმო კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ბუსხელიშვილმა, აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ, ლეკოის უნივერსიტეტის პროფესორმა მ. ზარიეკამ, თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტმა ბ. კორპუსო